საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 266

24 08 2013 წ.

ქ. თბილისი

პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 15 ივლისს განხორციელებული ცვლილებით დადგინდა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამდენად, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალსაფეხურიან პროფესიულ სტანდარტებში, სტანდარტის დამატებითი მოთხოვნის დადგენისა და ამ საკითხის დაინტერესებულ პირებთან კოლეგიურად გახილვა/გადაწყვეტის მიზნით, 2013 წლის 24 აგვისტოს შედგა პროფესიული სტანდარტების ავტორებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს მრავალსაფეხურიანი პროფესიული განათლების თითოეულ საფეხურზე დაშვების წინაპირობის საკითხი. დამსწრეთა უმრავლესობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (2013 წლის 24 აგვისტოს ოქმი №2) სხდომაზე განხილულ მრავალსაფეხურიან პროფესიულ სტანდარტებში, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხორციელდეს დამატებითი მოთხოვნების შეტანა: თითოეულ საფეხურზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს წინა საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20² მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-16 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს შემდეგი პროფესიული სტანდარტები:

ა) მებაღის (დეკორატიული მცენარეების) პროფესიული სტანდარტი დანართი №1 შესაბამისად;

ბ) მებოსტნის პროფესიული სტანდარტი დანართი №2 შესაბამისად;

გ) მევენახის პროფესიული სტანდარტი დანართი №3 შესაბამისად;

დ) მეხილეს პროფესიული სტანდარტი დანართი №4 შესაბამისად;

ე) მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №5 შესაბამისად;

ვ) სანერგე მეურნეობის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №6 შესაბამისად;

ზ) ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და სხვა) პროფესიული სტანდარტი დანართი №7 შესაბამისად;

თ) ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა,მეცხვარეობა,მებოცვრეობა,მეფრინველეობა და ა.შ) პროფესიული სტანდარტი დანართი №8 შესაბამისად;

ი) მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი დანართი №9 შესაბამისად;

კ) თევზის მრეწავის პროფესიული სტანდარტი დანართი №10 შესაბამისად;

ლ) ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №11 შესაბამისად;

მ) თევზგადამმუშავებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №12 შესაბამისად;

ნ) რძის გადამამუშავებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №13 შესაბამისად;

ო) ყველის მწარმოებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №14 შესაბამისად;

პ) მეღვინის პროფესიული სტანდარტი დანართი №15 შესაბამისად;

ჟ) კონდიტერის პროფესიული სტანდარტი დანართი №16 შესაბამისად;

რ) მზარეულის პროფესიული სტანდარტი დანართი №17 შესაბამისად;

ს) მეტყევის (ტყისმჭრელი, ტაქსატორი) პროფესიული სტანდარტი დანართი №18 შესაბამისად;

ტ) ბუღალტრის პროფესიული სტანდარტი დანართი №19 შესაბამისად;

უ) საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №20 შესაბამისად;

ფ) ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №21 შესაბამისად;

ქ) გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) პროფესიული სტანდარტი დანართი №22 შესაბამისად;

ღ) ტუროპერატორის (აგრო-.ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი) პროფესიული სტანდარტი დანართი №23 შესაბამისად;

ყ) სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №24 შესაბამისად;

შ) სარესტორნო საქმისმწარმოებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №25 შესაბამისად;

ჩ) აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №26 შესაბამისად;

ც) აუდიტორის ასისტენტის პროფესიული სტანდარტი დანართი №27 შესაბამისად;

ძ) სადაზღვევო აგენტის პროფესიული სტანდარტი დანართი №28 შესაბამისად;

წ) ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №29 შესაბამისად;

ჭ) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №30 შესაბამისად;

ხ) სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №31 შესაბამისად;

ჯ) რადიო და სატელევიზიო სისტემების მომსახურებისა და ექსპლუატაციის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №32 შესაბამისად;

ჰ) მიკროელექტრონიკისა და ოპტოელექტრონიკის ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №33 შესაბამისად;

ჰ[1]) ელექტრიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №34 შესაბამისად;

ჰ[2]) ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის პროფესიული სტანდარტი დანართი №35 შესაბამისად;

ჰ[3]) ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №36 შესაბამისად;

ჰ[4]) ენერგეტიკოს-მემონტაჟის პროფესიული სტანდარტი დანართი №37 შესაბამისად;

ჰ[5]) ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №38 შესაბამისად;

ჰ[6]) ხუროს პროფესიული სტანდარტი დანართი №39 შესაბამისად;

ჰ[7]) საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №40 შესაბამისად;

ჰ[8]) კომპიურეტული საინჟინრო გრაფიკის (Auto Cad) ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №41 შესაბამისად;

ჰ[9]) ზეინკალ-სანტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №42 შესაბამისად;

ჰ[10]) სარკინიგზო გადამზიდავის პროფესიული სტანდარტი დანართი №43 შესაბამისად;

ჰ[11]) სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №44 შესაბამისად;

ჰ[12]) ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №45 შესაბამისად;

ჰ[13]) ავტომობილის დიაგნოსტიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №46 შესაბამისად;

ჰ[14]) სავალი ნაწილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №47 შესაბამისად;

ჰ[15]) ძრავის შემკეთებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №48 შესაბამისად;

ჰ[16]) ავტომობილის ზეინკლის პროფესიული სტანდარტი დანართი №49 შესაბამისად;

ჰ[17]) ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №50 შესაბამისად;

ჰ[18]) პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №51 შესაბამისად;

ჰ[19]) დურგლის პროფესიული სტანდარტი დანართი №52 შესაბამისად;

ჰ[20]) კვების წარმოების მანქანების ოპერატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №53 შესაბამისად;

ჰ[21]) სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №54 შესაბამისად;

ჰ[22]) ტყავის გამოყვანის, ტყავის ნაწარმის ქიმიური წმენდისა და ღებვის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №55 შესაბამისად;

ჰ[23]) საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №56 შესაბამისად;

ჰ[24]) ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის პროფესიული სტანდარტი დანართი №57 შესაბამისად;

ჰ[25]) ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის პროფესიული სტანდარტი დანართი №58 შესაბამისად;

ჰ[26]) სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №59 შესაბამისად;

ჰ[27]) ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №60 შესაბამისად;

ჰ[28]) ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №61 შესაბამისად;

ჰ[29]) შემდუღებლის პროფესიული სტანდარტი დანართი №62 შესაბამისად;

ჰ[30]) გარემოს დაცვის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №63 შესაბამისად;

ჰ[31]) სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №64 შესაბამისად;

ჰ[32]) სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №65 შესაბამისად;

ჰ[33]) წარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №66 შესაბამისად;

ჰ[34]) გვირაბგამყვანის პროფესიული სტანდარტი დანართი №67 შესაბამისად;

ჰ[35]) მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №68 შესაბამისად;

ჰ[36]) სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №69 შესაბამისად;

ჰ[37]) სამთო ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №70 შესაბამისად;

ჰ[38]) გეოლოგ-ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №71 შესაბამისად;

ჰ[39]) ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №72 შესაბამისად;

ჰ[40]) ვებსპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №73 შესაბამისად;

ჰ[41]) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის პროფესიული სტანდარტი დანართი №74 შესაბამისად;

ჰ[42]) რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №75 შესაბამისად;

ჰ[43]) რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №76 შესაბამისად;

ჰ[44]) სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №77 შესაბამისად;

ჰ[45]) სავაგონო მეურნეობის მექანიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №78 შესაბამისად;

ჰ[46]) მელიანდაგის პროფესიული სტანდარტი დანართი №79 შესაბამისად;

ჰ[47]) ტოპოგრაფის პროფესიული სტანდარტი დანართი №80 შესაბამისად;

ჰ[48]) არქიტექტორ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) პროფესიული სტანდარტი დანართი №81 შესაბამისად;

ჰ[49]) გემბანის მეზღვაურის პროფესიული სტანდარტი დანართი №82 შესაბამისად;

ჰ[50]) სამანქანე განყოფილების მეზღვაურის პროფესიული სტანდარტი დანართი №83 შესაბამისად;

ჰ[51]) კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) პროფესიული სტანდარტი დანართი №84 შესაბამისად;

ჰ[52]) ლითონის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №85 შესაბამისად;

ჰ[53]) დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №86 შესაბამისად;

ჰ[54]) სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №87 შესაბამისად;

ჰ[55]) მქსოველის (ტრიკოტაჟის ნაწარმის და ა.შ) პროფესიული სტანდარტი დანართი №88 შესაბამისად;

ჰ[56]) ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №89 შესაბამისად;

ჰ[57]) ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №90 შესაბამისად;

ჰ[58]) ფლორისტული დიზაინის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №91 შესაბამისად;

ჰ[59]) სტილისტის (ქალი, მამაკაცი) პროფესიული სტანდარტი დანართი №92 შესაბამისად;

ჰ[60]) კბილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტი დანართი №93 შესაბამისად;

ჰ[61]) მასაჟისტის პროფესიული სტანდარტი დანართი №94 შესაბამისად;

ჰ[62]) ბარმენის პროფესიული სტანდარტი დანართი №95 შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ა) ბრძანებები: №133-31.01.2011; №54-27.01.2011; №183-05.04.2011; №237-06.06.2011; №58-27.01.2011; №112-27.01.2011; №236-06.06.2011; №234-06.06.2011; №52-27.01.2011; №51-27.01.2011; №101-27.01.2011; №203-05.05.2011; №185-05.04.2011; №139-31.01.2011; №481-27.06.2012; №470-27.06.2012; №461-27.06.2012; №203-31.12.2010; №276-23.06.2011; №272-23.06.2011; №197-31.12.2010; №201-31.12.2010; №123-28.01.2011; №75-27.01.2011; №125-31.12.2010; №122-31.12.2010; №289-28.06.2011; №254-15.06.2011; №189-31.12.2010; №198-31.12.2010; №158-31.12.2010; №182-31.12.2010; №178-31.12.2010; №117-31.12.2010; №186-31.12.2010; №212-31.12.2010; №119-31.12.2010; №191-31.12.2010; №124-31.12.2010; №142-31.12.2010; №205-31.12.2010; №131-31.12.2010; №187-31.12.2010; №482-27.06.2012; №255-15.06.2011; №73-27.01.2011; №74-27.01.2011; №458-27.06.2012; №95-27.01.2011; №72-27.01.2011; №474-27.06.2012; №462-27.06.2012; №473-27.06.2012; №457-27.06.2012; №125-28.01.2011; №207-28.06.2013;

ბ) 2013 წლის 28 ივნისის №208 ბრძანების პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები;

გ) 2013 წლის 28 ივნისის №206 ბრძანების პირველი მუხლის „ა“, „ბ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“, „ს“, „ტ“, „უ“, „ქ“, „ძ“, „წ“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“, „ჰ^{1}“, „ჰ^{2}“, ჰ^{3}“, „ჰ^{5}“, „ჰ^{6}“, „ჰ^{7}“, „ჰ^{8}“, „ჰ^{12}“, „ჰ^{13}“, „ჰ^{14}“, „ჰ^{15}“ და „ჰ^{17}“ქვეპუნქტები.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ელვინე ჯიბლაძე